საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის
აჭარის ფილიალი

წლიური ანგარიში 2024

29 წელი
ადამიანის
უფლებებისთვის

კანონის
უზენაესობა
სამართლიანობისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალი

წლიური ანგარიში

2024

სარჩევი

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 5
სამართლებრივი დახმარება 6
მიმდინარე საქმეები – სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი 6
2024 წლის დეკემბერში დაუსაბუთებლად შედგენილი ოქმები 7
2025 წლის იანვრის უკანონო დაკავებები 8
მზია ამაღლობელის საქმე 9
გურამ მურვანიძის საქმე 9
თემურ ქათამაძის (მედროშე) საქმე 11
დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 12
2024 წლის საპარლამენტო არჩევნები 12
სხვა აქტივობები 13
გასვლითი შეხვედრები არჩევნების თემატიკაზე 13
სხვა გასვლითი აქტივობები 14
შეხვედრები/ფორუმები 15
ტრენინგები/სემინარები 17
იმიტირებული სასამართლო პროცესები 19
კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 20
ურთიერთობა მედიასაშუალებებთან 21
საიას აჭარის ფილიალის მმართველი ორგანო – გამგეობა 24

მისასალმებელი სიტყვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძვირფასო წევრებო, ორგანიზაციის თანამშრომლებო და საიას აჭარის ფილიალის საქმიანობით დაინტერესებულო პირებო, უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წილად მხვდა პატივი და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა, ვიყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე.

2024 წელი საიას აჭარის ფილიალის ისტორიაში და, ზოგადად, საიას არსებობის განმავლობაში ალბათ ყველაზე მძიმე წელი იყო. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა - დემოკრატიული განვითარების უკან დახევამ, სამოქალაქო საზოგადოებაზე ხელისუფლების მიზანმიმართულმა შეტევამ, მნიშვნელოვნად შეაფერხა ორგანიზაციის მუშაობა. ყოველივე ამის პარალელურად ორგანიზაცია კვლავ აგრძელებს საქმიანობას და გვჯერა, რომ სამართლებრივი ბრძოლა შედეგებს აუცილებლად მოიტანს.

ამ დოკუმენტით, მსურს წარმოგიდგინოთ საიას აჭარის ფილიალის ანგარიში. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ქვეყანაში არსებული კრიტიკული მდგომარეობის ფონზე, ორგანიზაციის აჭარის ფილიალმა საკუთარი მისია ღირსეულად შეასრულა. მოცემულ ანგარიშში ასახულია 2024 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები და მიღწეული შედეგები, თუმცა ეს დოკუმენტი, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ დაიტევს იმ უზარმაზარ შრომასა და ძალისხმევას, რომლებიც ფილიალის თანამშრომლებმა გასწიეს.

საანგარიშო პერიოდში საია კვლავ იყო მოვლენათა ეპიცენტრში. ვიდექით იქ, სადაც საფრთხე ექმნებოდა ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, ვეხმარებოდით მათ, ვისი უფლებებიც ირღვეოდა. ჩვენი მიზანი უფლებათა დაცვის კუთხით პროგრესის მიღწევა და რეგიონში კანონის უზენაესობის მნიშვნელობის გააზრების ხელშეწყობაა.

უდიდესი პროფესიონალიზმის, გამბედაობის და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ერთგულად ვემსახურებოდით საზოგადოებას და გვეამაყება, რომ, სირთულეების მიუხედავად, ჯიუტად ვიცავთ სამართლიანობის იდეასა და პრინციპებს. გულმოდგინე, დაუღალავი და თავდაუზოგავი შრომით, არსებულ გამოწვევათა უმრავლესობას თავი გავართვით და შედეგებს ამ დოკუმენტში მოკლედ წარმოგიდგენთ.

მოგახსენებთ, რომ საიას აჭარის ფილიალი ტრადიციულად გასცემდა იურიდიულ კონსულტაციებს და მუშაობდა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაზე. ამის

პარალელურად, აქტიურად ვიყავით ჩართულნი ე.წ. **„რუსული კანონის“** წინააღმდეგ ბრძოლაში, ვმუშაობდით საარჩევნო გარემოს მონიტორინგის საკითხებზე და ვახორციელებდით გრძელვადიან სადამკვირვებლო საქმიანობას. ამავე დროს, დახმარებას ვუწევდით აჭარაში აქციებზე დაკავებულ ათობით მოქალაქეს როგორც საგამოძიებო უწყებებში, ისე ყველა ინსტანციის სასამართლოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ჩვენი მისია იურიდიული განათლების ხელშეწყობის კუთხით და სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს დავეხმარეთ იურიდიული ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

ორგანიზაციის საქმიანობით, ჩვენი იურისტების შეხედულებების გაზიარებით მუდამ დაინტერესებულია როგორც ტელევიზია და რადიო, ისე ონლაინ მედია და გამოცემები. შედეგად, ჩვენი გაშუქების მაჩვენებელი არის ძალიან მაღალი. ამავე დროს, გვაქვს განცდა, რომ გაცილებით მეტი სიკეთის მოტანა შეგვიძლია რეგიონისთვის და გვჯერა, მომდევნო წლების განმავლობაში ეს ასეც იქნება.

პატივისცემით,

თამარ წულუკიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალის თავმჯდომარე

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი დაფუძნდა 1995 წლის ოქტომბერში. ამ დროისთვის ის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო რეგიონში, რომელმაც შეძლო, დაჰპირისპირებოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 90-იან წლებში ჩამოყალიბებულ რეჟიმს. საიას აჭარის ფილიალი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც, 29 წელია, განუხრელად ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას.

ორგანიზაციაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, პროექტულ საქმიანობას საია ახორციელებს სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში:

- **ადამიანის უფლებების დაცვა**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა**
- **სამართლებრივი დახმარება**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის დებულებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას აჭარის ფილიალის 2024 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი: 2024 წლის 1-ლი იანვარი - 2025 წლის 31 იანვარი.

უცვლელია დევიზი:

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის!

სამართლებრივი დახმარება

საიას აჭარის ფილიალის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა ადასტურებს, რომ ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრის საქმიანობა რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საიას აჭარის ფილიალის ადვოკატებმა საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარება გაუწიეს 800-მდე მოქალაქეს და მოამზადეს 300-მდე სამართლებრივი დოკუმენტი.

ანგარიშის მომზადების დროისთვის ფილიალის წარმოებაშია 32 საქმე. აქედან:

- სისხლის სამართლის საქმე - 20
- სამოქალაქო სამართლის საქმე - 2
- ადმინისტრაციული სამართლის საქმე - 25

მიმდინარე საქმეები – სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი

უკვე წლებია, საია აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის რეფორმის პროცესში და ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ამ მიმართულებით, იმავდროულად, მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ადვოკატირების კამპანიაში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული დავები კვლავ პრიორიტეტად რჩება.

უკანონოდ დაკავებული შშმ პირის საქმე



2024 წლის 19 აპრილს ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე, უსახლკარობის პრობლემასთან დაკავშირებით მიმდინარე მშვიდობიანი აქციის დროს, სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, შშმ პირი დააკავეს. დაკავებულის დედას, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილის მხარდამჭერია, არ მიეცა მისი ნახვის შესაძლებლობა. პროცესი ჩატარდა როგორც ადვოკატის, ისე მხარდამჭერის დასწრების გარეშე, რაც მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევაა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო პირის სამართალდამრღვევად ცნობის გადაწყვეტილება. თუმცა, საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, გასაჩივრების შემდგომ

სააპელაციო სასამართლომ ეს დადგენილება გააუქმა და მიუთითა, რომ სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევით. ამ დადგენილების შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ხელახლა განიხილა და შშმ პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეწყვიტა.

2024 წლის ნოემბრისა და დეკემბრის უკანონო დაკავებები



2028 წლამდე ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერების შესახებ „ქართული ოცნების“ განცხადებას აჭარაში მასობრივი პროტესტი მოჰყვა. 29 ნოემბერს ბათუმში სპეცრაზმმა აქციის 9 მონაწილე დააკავა, რომელთაგან 7 პირის ინტერესებს საიას აჭარის ფილიალი იცავდა. რამდენიმე მათგანს ძალადობის კვალი აღენიშნებოდა. მათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლის პირველი ნაწილების დარღვევას ედავებოდნენ. დაკავებულთაგან 4 პირს მოსამართლემ 5-დღიანი პატიმრობა შეუფარდა, ორი მათგანი 2000 და 2500 ლარით დააჯარიმა, ხოლო არასრულწლოვანთან მიმართებით ადმინისტრაციული წარმოება შეწყვიტა. მიღებული დადგენილებები გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

2024 წლის დეკემბერში დაუსაბუთებლად შედგენილი ოქმები

2024 წლის 30 დეკემბერს აქციის 12 მონაწილის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინეს. მათგან 5 პირის ინტერესებს საიას აჭარის ფილიალი იცავდა. პოლიცია დემონსტრანტებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174^1-ე მუხლის მეოთხე ნაწილის დარღვევას ედავებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის გადაკეტვა გამოხატვის თავისუფლების ნაწილია და მოქალაქეთა რაოდენობა საკმარისი იყო ამ უფლების რეალიზებისთვის. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ყველა ეს პირი 500-500 ლარით დააჯარიმა. მიღებული დადგენილებები გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

2025 წლის იანვრის უკანონო დაკავებები

ბათუმში 11-12 იანვარს აქციებზე ჯამში 20 პირი დააკავეს, რომელთაგან 7-ს საიას აჭარის ფილიალი იცავდა. დაკავებულებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას ედავებოდნენ. რეალურად, დაკავებები საპროტესტო პლაკატის გაკვრას მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ ოქმის შემდგენ მხარეს არცერთ დაკავებულ პირთან მიმართებით არ ჰქონდა წარმოდგენილი ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მათ 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. მიღებული დადგენილებები გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

წარმოებაში აღებული ახალი საქმეები

მზია ამაღლობელის საქმე

საიას აჭარის ფილიალი, ცენტრალურ ოფისთან ერთად, ჩართულია „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელის საქმეში. მზია ამაღლობელი თავდაპირველად 2025 წლის 11 იანვარს საპროტესტო სტიკერის გაკვრისას ადმინისტრაციული წესით თვითნებურად დააკავეს, თუმცა, მოგვიანებით, ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს. გათავისუფლებიდან მალევე იგი დააკავეს სისხლის სამართლის წესით.

დაკავების შემდეგ ბათუმის პოლიციის უფროსმა მას არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შეაფურთხა და დაემუქრა, რომ მის წინააღმდეგ საქმეს სისხლის სამართლის წესით დაიწყებდა. პარალელურად, ადვოკატები დაახლოებით 3 საათის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ პოლიციის განყოფილებაში შესვლას და მზია ამაღლობელთან შეხვედრას.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ მზია ამაღლობელი დააკავეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ბრალდებით, რაც გულისხმობს პოლიციელზე თავდასხმას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქმეში არ არის ამ მუხლისთვის დამახასიათებელი საკვანძო გარემოებები, რაც გამორიცხავს სისხლის სამართლის ბრალდებას არამარტო ამ მუხლით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა, უფრო მსუბუქი მუხლებითაც. ამის მიუხედავად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მას დაუსაბუთებლად შეუფარდა ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა. მზია ამაღლობელის პატიმრობა და მისი სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონოა და ატარებს პოლიტიკური რეპრესიის სახეს.

გურამ მურვანიძის საქმე

საიას აჭარის ფილიალი იცავს „ბათუმელების“ ოპერატორის, გურამ მურვანიძის უფლებებს. იგი 2025 წლის 12 იანვარს ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას და აშუქებდა აქციის მიმდინარეობას. მას შემდეგ, რაც ბათუმის პოლიციის უფროსისთვის ცნობილი გახდა, რომ გურამ მურვანიძე არის გაზეთ „ბათუმელების“ ოპერატორი, მან ავტომატურად

გასცა მისი დაკავებისა და გადაღებული მასალის წაშლის ბრძანება. გურამ მურვანიძე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების საფუძველზე დააკავეს. მოსამართლემ მას 8-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

გურამ მურვანიძეს თავად ჰქონდა გადაღებული თავისი დაკავების კადრები, რომლებიც მტკიცებულება იყო ადმინისტრაციულ საქმეში, თუმცა მოსამართლემ ამ კადრების ამოღების და საქმეზე დართვის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ტელეფონი, რომლითაც ეს ვიდეო იყო გადაღებული, დალუქულ მდგომარეობაში უნდა შეენახათ აჭარის მთავარ სამმართველოში, თუმცა ნივთების დაბრუნების შემდეგ გურამ მურვანიძემ აღმოაჩინა, რომ ტელეფონი იყო სრულად გასუფთავებული, ქარხნულ მდგომარეობაში, წაშლილი იყო აპლიკაციები და ფოტო/ვიდეო მასალა.

გურამ მურვანიძის ტელეფონში შეღწევით მოხდა არა მხოლოდ მისი პერსონალური მონაცემების უკანონო მოპოვება და წაშლა, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არსებული მტკიცებულების განადგურებაც.

გურამ მურვანიძის ინტერესების დასაცავად მივმართეთ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, გენერალურ პროკურატურას და გენერალურ ინსპექციას.

თამარ ლომაძის საქმე

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა (შემდგომში - დეპარტამენტი) თამარ ლომაძესთან, დისკრიმინაციული საფუძვლით, არ გააგრძელა 2016 წელს დაწყებული შრომითი ურთიერთობა.

დეპარტამენტში თამარ ლომაძის უშუალო ჩართულობით განხორციელდა შიდა ტურიზმის მასტიმულირებელი კამპანია - „**გამომყევი აჭარაში**" (მისწვდა 240 მილიონზე მეტ ადამიანს). აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ახალი პროექტის განმახორციელებლად კვლავ თამარი მოიაზრებოდა. წლების განმავლობაში ის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

2024 წლის 31 დეკემბერს თამარ ლომაძის ხელმძღვანელმა მას მადლობა გადაუხადა შესრულებული სამუშაოსთვის, თუმცა განუმარტა, რომ წყვეტდა მასთან თანამშრომლობას. ფაქტები მიუთითებს, რომ დეპარტამენტის ეს გადაწყვეტილება უკავშირდება თამარ ლომაძის მიერ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით აქტიურ სამოქალაქო პოზიციას. ის დადიოდა აქციებზე „რუსული კანონის" წინააღმდეგ და აქტიურად

აპროტესტებდა ქვეყნის ევროპული კურსის ცვლილებას. ხელმძღვანელმა მას მანამდე არაერთხელ პირდაპირ მოუწოდა, თავი შეეკავებინა აქციებზე სიარულისგან და სოციალურ ქსელში არ გაეზიარებინა მსგავსი თემატიკის პოსტები.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებით თამარ ლომაძის მიმართ განხორციელდა დევნა პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო, რაც შრომის კოდექსის დარღვევა და ადამიანის უფლებების ცალსახა შელახვაა. ამ უფლებების აღდგენის მიზნით, საიას აჭარის ფილიალი დაიცავს თამარ ლომაძის ინტერესებს სახალხო დამცველთან და სასამართლო ინსტანციებთან ურთიერთობის ნაწილში.

თემურ ქათამაძის (მედროშე) საქმე

თემურ ქათამაძე (გაფფარ ილმაზი), წლებია, საქართველოში ცხოვრობს. მან დააარსა ორგანიზაცია „ქართველთა კავშირი - ფენიქსი“, არის თურქეთის ეთნიკურ ქართველთა საზოგადოების ,,ჩვენებურების“ ლიდერი და მისი საქმიანობა უკავშირდება დიასპორის უფლებების დაცვას.

საჯარო პროტესტის გამო, ის დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე. მისი თქმით, სამართალდამცავების მხრიდან მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. მოსამართლემ მას 5-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

იზოლატორის დატოვების დღეს თემურ ქათამაძე ხელახლა დააკავეს და გადაიყვანეს სამტრედიის დროებითი მოთავების იზოლატორში, სასამართლოს ბრძანების საფუძველზე კი, მისი გაძევების საქმის განხილვამდე - მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში. ის ამ დრომდე იქ იმყოფება. დროებითი განთავსების ცენტრში გადაყვანამდე მან დაიწყო სრული შიმშილობა და მხოლოდ წყალს იღებს.

თემურ ქათამაძის საქმეში სასამართლოს ბრძანებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. მის ინტერესებს საია იცავს.

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) გრძელვადიანმა სადამკვირვებლო მისიამ (LTO) ფუნქციონირება 2024 წლის აპრილიდან დაიწყო. გრძელვადიანი დაკვირვების ძირითადი მიზანი არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობაა.

საიას აჭარის ფილიალი აქტიურად იყო ჩართული როგორც გრძელვადიან, ისე კენჭისყრის დღის და შემდგომი პერიოდის დაკვირვების პროცესში. მათ შორის, აწარმოებდა საარჩევნო დავებს აჭარის რეგიონის მასშტაბით მომხდარ დარღვევებზე.

სხვა აქტივობები

გასვლითი შეხვედრები არჩევნების თემატიკაზე

2024 წლის ივლისში ქალაქ ბათუმში გაიმართა შეხვედრა ამომრჩეველთა ინფორმირების გაზრდის მიზნით. განსახილველი საკითხი ეხებოდა ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით არჩევნების ჩატარებას და 2024 წლის 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში თითოეული მოქალაქის მონაწილეობას. შეხვედრები ჩატარდა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

2024 წლის აგვისტოში აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში და ეკო მიგრანტებთან, გაიმართა გასვლითი საინფორმაციო შეხვედრები. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

2024 წლის ოქტომბერში ქალაქ ბათუმში გაიმართა საინფორმაციო გასვლითი შეხვედრა მოსახლეობასთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

სხვა გასვლითი აქტივობები

2024 წლის მარტში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის ორგანიზებით, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში ჩართულმა მოსწავლეებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაათვალიერეს. ვიზიტის ფარგლებში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, სალექციო ფორმატში მოესმინათ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ისტორია, გასცნობოდნენ სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას და ევროპულ/ამერიკულ გამოცდილებას.

შეხვედრები/ფორუმები

2024 წლის თებერვალში აშშ-ის ელჩი რობინ დანიგანი აჭარას ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში მან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა, რომელზეც ხაზი გაესვა აშშ-ის მხარდაჭერის მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასა და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაში.

2024 წლის სექტემბერში გაეროს მუდმივი კოორდინატორი დიდიე ტღებიუკი ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. ვისაუბრეთ არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე. მიმოვიხილეთ ის პროგრამები და ინიციატივები, რომლებსაც ვახორციელებთ მოწყვლადი მოსახლეობის, განსაკუთრებით, მიგრანტებისა და დევნილების მხარდასაჭერად. შეხვედრა გაიმართა გაეროს ლტოლვილთა სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით.

2024 წლის მარტში ბათუმში გაიმართა დისკუსია ფინანსურ რესურსებზე ქალების წვდომასა და ეკონომიკური უფლებების რეალიზების თაობაზე. შეხვედრაში ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, მართლმსაჯულების სისტემის, სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საუბარი შეეხო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობას, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, საკუთრების, შრომის და თანაბარი ანაზღაურების უფლებების რეალიზების საკითხებს.

ტრენინგები/სემინარები

2024 წლის აპრილში სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან საკითხებზე სკოლა „ევრო-2000-ის“ მოსწავლეებისთვის შეხვედრები ჩატარდა. სწავლების თემატიკა მოიცავდა პროკურორის უფლებამოსილების ფარგლებს, დაცვის მხარის საპროცესო გარანტიებს, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს. შეხვედრების მიზანი იყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე, ასევე, მათი მომზადება სისხლის სამართლის იმიტირებული პროცესისთვის. მოსწავლეებს სისხლის სამართლის პროცესის სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის თანაშემწეებმა მიაწოდეს.

2024 წლის აპრილში ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სპეციფიკისა და მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თაობაზე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ნაფიცი მსაჯულების შერჩევა, მათ უფლება-მოვალეობები, მთავარი მსაჯული, ფიცის დადება და ვერდიქტის გამოტანა. შეხვედრას უძღვებოდა საიას აჭარის ფილიალის სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის ადვოკატის თანაშემწე.

საიამ ივნისში ბათუმში სამოქალაქო საზოგადოებისთვის „საკრებულოს საზედამხედველო როლის“ შესახებ ტრენინგები ჩაატარა. შეხვედრაზე საუბარი იყო საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციასა და მუნიციპალიტეტის განვითარებაში მის მნიშვნელობაზე. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კონტროლის მექანიზმების სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩაერთოს მოქალაქე ამ პროცესში, რა ინსტრუმენტები არსებობს და რა გავლენას ახდენს საზოგადოების აქტიურობა საჯარო მმართველობის გაძლიერებაზე.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

საიას აჭარის ფილიალისა და სკოლა „ევრო-2000-ის“ თანამშრომლობის ფარგლებში იმიტირებული სასამართლო პროცესის ტურნირი ჩატარდა. მისი ფინალური ეტაპი კი ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაიმართა. იმიტირებული პროცესის ფარგლებში მოსწავლეებს მენტორობას უწევდნენ საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის თანაშემწეები. მანამდე მოსწავლეებთან ჩატარდა შეხვედრა სალექციო ფორმატში, სადაც მათ საშუალება ჰქონდა, მიეღოთ თეორიული ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან საკითხებზე.

კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

იურიდიული პროფესიის განვითარებისა და ახალგაზრდა იურისტთა პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს სტაჟირების პროგრამას, რომელიც საიას აჭარის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში ფუნქციონირებს.

პროგრამა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და კურსდამთავრებულებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებას აძლევს. სტაჟირება 6 თვე გრძელდება და მისი მონაწილეები სპეციალური კონკურსის გზით შეირჩევიან.

ურთიერთობა მედიასაშუალებებთან

2024 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის იურისტები აქტიურად ურთიერთობდნენ მედიასაშუალებებთან.

საიას აჭარის ფილიალი უწყვეტად თანამშრომლობდა ისეთ მედიაორგანიზაციებთან, როგორებიცაა „ბათუმელები“, „აჭარა თაიმსი - The Ajara Times“ და „NEWS.On.ge“.



საანგარიშგებო წლის განმავლობაში არაერთხელ ვესტუმრეთ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“. სხვადასხვა გადაცემის ფორმატში გამოვხატავდით ჩვენს მოსაზრებებს აქტუალურ საკითხებზე.

პარალელურად, ქმედითი კომუნიკაცია გვქონდა სხვა მედიაორგანიზაციებთანაც, როგორებიცაა: „TV 25“, ტელეკომპანია „ფორმულა“, ტელეკომპანია „მთავარი არხი“, ტელეკომპანია „პირველი არხი“, „რადიო თავისუფლება“, „Euronews Georgia: ევრონიუს ჯორჯია“, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“.


რადიო აჯარა
საზოგადოებრივი მაუწყებელი

euro news.
GEORGIA

ბავშვებზე ძალადობა

როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო
კამპანია აჯარაში?

როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო
კამპანია აჯარაში?

25
როგორ უნდა მოვიქცეთ და რისი უფლება გაქვთ აქციებზე

25
მაცნე
რა მოხდება თუ ვეტოს დაძლევენ | ინტერვიუ თამარ წულუკიძესთან


2
ბათუმი
რეჟიმის რეპრესიები ბათუმში - პოლიციამ „ბათუმელების“ დირექტორი დააკავა
formula.ge
14:08


ბათუმი
სასტიკი ანგარიშსწორება მოქალაქეებზე რომლებიც საქართველოს ევროპულ მომავალს იცავენ
formula.ge
14:17

საიას აჭარის ფილიალის მმართველი ორგანო – გამგეობა

თამარ წულუკიძე - გამგეობის თავმჯდომარე

პაატა დიასამიძე - წევრი

ნონა ქოქოლაძე - წევრი

რუსლან წულუკიძე - წევრი

მირზა მამულაძე - წევრი



საიას 2024 წლის ანგარიშის სანახავად გადადით ბმულზე:

https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/REPORT%20GEO%20FINAL%20.pdf